საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხრიდოლის კლუბის წევრი მარიამ მეცხვარიშვილი ევროპის ჩემპიონია

2017 წლის 15-20 მაისს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ჩატარდა უშუ-სანდას ევროპის II ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხრიდოლის კლუბის წევრმა მარიამ მეცხვარიშვილმა წარმატებით მიიღო მონაწილეობა და ევროპის ჩემპიონი გახდა.

შეჯიბრი ხუთ დღეს გაგრძელდა და მასში მონაწილეობა მიიღო კონტინენტის 29 ქვეყნის 270-მა უძლიერესმა სპორტსმენმა.

აღსანიშნავია, რომ ევროპის პირველობის ფინალური ტურნირის საგზური საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხრიდოლის კლუბის წარმომადგენელმა მარიამ მეცხვარიშვილმა მოიპოვა 18 მარტს გამართულ უშუ-სანდას საქართველოს პირველობაზე, სადაც დამაჯერებლად დაამარცხა ორი მოწინააღმდეგე და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

ევროპის ჩემპიონატის 60 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ფინალურ შეხვედრაში ქართველ სპორტსმენს დაუპირისპირდა საერთაშორისო ტურნირების არაერთგზის გამარჯვებული, 2014 წლის ევროპის ჩემპიონი, იტალიელი მებრძოლი სონია დ,აგოსტინიო. ორ რაუნდიან დაძაბულ ბრძოლაში მარიამ მეცხვარიშვილმა სძლია გამოცდილ მეტოქეს, მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება და დაეუფლა ევროპის ჩემპიონის საპატიო ტიტულს.

17 წლის მარიამ მეცხვარიშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხრიდოლის კლუბის აღზრდილია, სადაც გიორგი კოკოშაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. მარიამისთვის ეს წარმატება პირველი არ არის, ოთხი წლის განმავლობაში მას მოგებული აქვს ხელჩართული ბრძოლების კავკასიისა და ევრაზიის თასები, სამჯერ დაეუფლა კუნგფუ-სანდას ევრაზიის თასს და არაერთგზის გაიმარჯვა სხვადასხვა საბრძოლო დისციპლინათა ეროვნულ პირველობებზე.

ვულოცავთ მარიამ მეცხვარიშვილს ამ ღირსშესანიშნავ წარმატებას და ვუსურვებთ მომავალი გამარჯვებებით კვლავ ესახელებინოს საქართველო და ტექნიკური უნივერსიტეტი.

4th EUROPEAN
KUNG FU
CHAMPIONSHIPS
第四屆歐洲
功夫錦標賽
套路擂台推手
2:00
WESING

INTERNATIONAL WUSHU FEDERATION
CHECK IN
GEORGIA
1
2
3